2014 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოში შემოსულ უცხოელთა საყურადღებოდ

- უცხოელებს, რომლებიც ახალი კანონის ძალაში შესვლამდე შემოვიდნენ საქართველოში, შეუძლიათ იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დროს არსებული წესის შესაბამისად. თუმცა, თუ ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ ისინი დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, ხელახლა შემოსვლისას მათზე გავრცელდება ახალი კანონის მოთხოვნები. ახალი რეგულაციების მიხედვით, საქართველოში ყოფნის ვადის (90 დღე ნებისმიერ 180- დღიან პერიოდში) ათვლა დაიწყება საქართველოში 2014 წლის 1 სექტემბრის შემდეგ პირველი შემოსვლიდან, ხოლო ძველი წესების მოქმედებისას საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დღეები არ ჩაითვლება.

- უცხოელების საყურადღებოდ, რომლებმაც 2014 წლის 1 სექტემბრამდე გაცემული ვიზის საფუძველზე ან უვიზოდ (ვინაიდან გათავისუფლებული იყვნენ სავიზო მოთხოვნებისგან) გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და არ დაუტოვებიათ საქართველოს ტერიტორია, გრძელვადიანი ვიზის მისაღებად შეუძლიათ სავიზო განაცხადი და სხვა საჭირო დოკუმენტები წარმოადგინონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში.

საკონსულო დეპარტამენტში ვიზის მისაღებად გთხოვთ იხელმძღვანელოთ შემდეგი ინსტრუქციებით:

ნაბიჯი პირველი

- უნდა მოხდეს ელ. განაცხადის წარდგენა, ამ მიზნით დააფიქსირეთ ბმულზე ელ. განაცხადის რეგისტრაცია.
- საქართველოს საკონსულო სამსახურის არჩევისას მიუთითეთ საკონსულო დეპარტამენტი.
- ატვირთეთ ვიზიტის მიზნის შესაბამისი თანმხლები დოკუმენტები ელექტრონული ფორმით.
- საკონსულო მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს თქვენი მოქალაქეობის ან ბინადრობის ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ანგარიშის ნომერზე.

ნაბიჯი მეორე

- ამობეჭდეთ, ხელი მოაწერეთ და წარმოადგინეთ შევსებული სავიზო განაცხადი და შესაბამისი თანმხლები დოკუმენტები თქვენს მიერ დანიშნულ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში.

- გადაწყვეტილება გრძელვადიანი ვიზის გაცემაზე მიიღება 30 კალენდარულ დღეში. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „სავიზო ინფორმაცია“

2014 წლის 1 სექტემბრის შემდეგ საქართველოში შემოსვლის მსურველ უცხოელთა საყურადღებოდ

უცხოელებს, რომლებიც ფლობენ 2014 წლის 1 სექტემბრამდე გაცემულ საქართველოს მოქმედ ვიზას, უფლება აქვთ აღნიშნული ვიზის საფუძველზე შემოვიდნენ საქართველოში.

2014 წლის 1 სექტემბრის შემდგომ პირველადი შემოსვლის დროს, ძველი წესების მოქმედებისას საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დღეები არ ჩაითვლება.

საქართველოში გამომგზავრების წინ მიზანშეწონილია გაეცნოთ „სავიზო ინფორმაციას“.

მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე საქართველოში ლეგალურად ყოფნის დღეების გამოსაანგარიშებლად გთხოვთ, იხილოთ დღეების კალკულატორი.

ნებისმიერი კატეგორიის ვიზის მისაღებად ვიზის გამცემ ორგანოს წარედგინება:

- სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც მოქმედია ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვიდან არანაკლებ სამი თვის განმავლობაში. იგი უნდა შეიცავდეს არანაკლებ ორ თავისუფალ გვერდს და გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს წინა 10 წლის განმავლობაში;
- ელექტრონულად შევსებული სავიზო განაცხადი;
- საკონსულო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. იხილეთ დეტალური ინფორმაცია ტარიფების, მოსაკრებლისგან გათავისუფლების პირობებისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების ანგარიშის ნომრების შესახებ;
- ფერადი ფოტოსურათი (3X4) - ელექტრონული ფორმით;
- ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ უცხოელს საქართველოში კანონდარღვევით ყოფნისთვის დაეკისრა ჯარიმა;
- პირის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა;
- გარანტის წერილი (მშობლის ან სხვა) საბანკო ანგარიშის მონაცემებითურთ.
- არასრულწლოვანი ან/და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისთვის უნდა წარედგინოს არასრულწლოვანი ან/და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენლის/წარმომადგენლების თანხმობა წერილობითი ფორმით;
- იმ შემთხვევაში თუ ვიზის გამცემ ორგანოში დოკუმენტების ჩაბარება ხდება წარმომადგენლის მეშვეობით, საჭიროა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასწავლო ვიზიტებისთვის:
- ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის დამადასტურე-ბელი დოკუმენტი;
- ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი (წერილი, სტუდენტის ბილეთი და სხვა), რომლითაც დასტურდება, რომ უცხოელი სწავლობს აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (სასწავლო კურსი, გაცვლითი პროგრამა, კვლევის განხორციელება, ენის შემსწავლელი კურსები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სხვა).

ზოგადი მოთხოვნები წარსადგენი დოკუმენტების მიმართ

ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ან ინგლისურ ენაზე.

უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის თარგმნის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად.

ვიზის გამცემ ორგანოს სხვა სახელმწიფოში გაცემული დოკუმენტები წარედგინება ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დედნების სახით. ამასთან, შესაძლებელია ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დედნის ასლის წარმოდგენა, რომელიც ასევე შესაბამისად უნდა იყოს ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება საქართველოს დიპლომატიური და სპეციალური გრძელვადიანი ვიზების გაცემის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების შემთხვევაში.

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს რეკვიზიტები:

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო	ანკარა, ესქიშეჰირი, ბოლუ, დუზჯე, ზონგულდაქი, ქარაბუქი, ბართინი, ქასთამონუ, სინოპი, ჩორუმი, ამასია, თოქათი, სივასი, იოზგათი, ქირიქქალე, ჩანქირი, აფიონი, კონია, აქსარაი, ქირშეჰირი, ნევშეჰირი, ქაისერი, ქაჰრამან მარაში, ადიამანი, დიარბაქირი, ბათმანი, სიირთი, შირნაქი, ჰაქქარი, მარდინი, შანლი ურფა, გაზიანთეფი, ქილისი, ჰათაი, ოსმანიე, ადანა, მერსინი, ნიღდე,	Adress: Kilic ali st, oran diplomatic area cankaia, Ankara Tel: +90 312 491 80 33 / +90 312 491 80 34, Hotline: +90 533 690 30 40 Fax: +90 312 491 80 32 Email: ankara.emb@mfa.gov.ge Website: www.turkey.mfa.gov.ge Facebook: Embassy of Georgia to the Republic of Turkey

	ქარამანი, ანტალია, ისპარტა, ბურდური, დენიზლი, მუღლა, იზმირი, აიდინი, ალბანეთის რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა,	
ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულო	ქ.სტამბოლი, ქ.ედირნე, ქ.თექირდაგი, ქ.ქირქლარელი, ქოჯაელის, იალოვას, ბურსას, ბალიქესირის, ჩანაქალეს, საქარიას, ბილეჯიკის, კუტახიას, მანისას და უშაკის ოლქები	Address: Sumbul st. No:17, 34330, Levent, Besiktas, İstanbul Tel: +90 212 270 02 61; Gsm: +90 541 818 44 00; Fax: +90 212 270 02 31; E-mail: istanbul.con@mfa.gov.ge Website: www.istanbul.mfa.gov.ge
ქ. ტრაპიზონში საქართველო გენერალური საკონსულო	ქ.ტრაპიზონი, ართვინის, არდაჰანის, ყარსის, ერზრუმის, ბაიბურთის, გიუმუშანეს, სამსუნის, ორდუს, გირესუნის, ტრაპზონის, რიზე, ერზიჯანის, იღდირის, აღრის, ვანის, ბითლისის, მუშის, ბინგოლის, ელაზიღის, მალათიას და თუნჯელის ვილაიეთები.	Address: Pertevpahsa N: 10, 61000 Trabzon Tel: (+90 462) 326-22-26, 323-13-43 Fax: (+90 462) 326-22-96 Hotline: (+90 541) 326-22-26 E-mail: trabzon.con@mfa.gov.ge Website: www.trabzon.con.mfa.gov.ge

საკონსულოს მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო	GÜRCİSTAN ANKARA BÜYÜKELÇİLİĞİ Bank name: TÜRKIYE IŞ BANKASI Account number: 4197 0009418 IBAN: TR22 0006 4000 0024 1970 0094 18	5
ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულო	TÜRKİYE İŞ BANKASI IBAN- TR72 0006 4000 0021 0351 2991 46	5
ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულო	T.C ZIRAAT BANKASI IBAN: TR6000010002434596938750 01	5

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.geoconsul.gov.ge
www.mfa.gov.ge
(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 0118 საქართველო, თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. N 4. ტელ: (+ 995 32) 2 94 50 00, ფაქსი: (+ 995 32) 2 94 50 01)

საკონსულო დეპარტამენტის ცხელი ხაზი: (+995 32) 2 94 50 50